დამტკიცებულია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 მაისის №12 დადგენილებით

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის კვლევებისა და განვითარების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) კვლევებისა და განვითარების ცენტრი (შემდგომში ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევით/კვლევით საქმიანობის წარმართვას და ამ საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.

3. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

4. ცენტრი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე.

მუხლი 2. კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიზნები და ფუნქციები

1.კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიზნებია:

ა) უზრუნველყოს სამეცნიერო-კვლევით/კვლევით საქმიანობის მხარდაჭერა და ამ საქმიანობის განვითარება;

ბ) ხელი შეუწყოს პარტნიორობის განვითარებას სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე;

გ) ხელი შეუწყოს კვლევის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას შეფასებისა და ანალიზის სისტემის გამოყენებით;

დ) ხელი შეუწყოს სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირებას;

ე) ხელი შეუწყოს კვლევის შედეგების ინტეგრირებას დაწესებულების სასწავლო საქმიანობაში.

2. კვლევებისა და განვითარების ცენტრის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და ამ საქმიანობის განვითარების კოორდინაცია;

ბ) უნივერსიტეტის პერსონალისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა სამეცნიერო ფონდების მოძიების, საგრანტო პროექტების მომზადების, პატენტების შექმნისა და საავტორო უფლებების დაცვის მიზნით;

გ) უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით სხვადასხვა სემინარის, ტრენინგის, სასწავლო და სასერტიფიკატო კურსების ორგანიზება;

დ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და ანალიზი;

ე) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან ერთად ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირება უნივერსიტეტის სახელით;

ვ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა-შეფასების პროცესების კოორდინაცია, მათ შორის აკადემიური პატიოსნების დაცვისა და პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების დანერგვის მხრივ;

ზ) საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების ადმინისტრირება;

თ) საუნივერსიტეტო კვლევითი აქტივობების (კონფერენციები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა) ორგანიზება;

ი) ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან, ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში;

კ) აფილირებული/აკადემიური/მოწვეული პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა სამეცნიერო ფორუმებში, საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1.უნივერსიტეტის კვლევებისა და განვითარების ცენტრისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: ცენტრის უფროსი, უფროსი სპეციალისტი და სპეციალისტი.

2.ცენტრის უფროსს და ცენტრის თანამშრომლებს კონკურსის ან პირდაპირი დაკონტრაქტების წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი ბრძანების საფუძველზე.

3. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი.

4.ცენტრის უფროსის არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს უფროსი სპეციალისტი რექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 4. ცენტრის უფროსის ფუნქციები

ცენტრის უფროსის ფუნქციებია:

1. ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

2. განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

3. ზედამხედველობს სპეციალისტების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

4. ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებზე;

5. ორგანიზებას უწევს წინამდებარე დებულებით ცენტრისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

6. მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში;

7. უზრუნველყოფს უნივერიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობას და ჩართვას შესაბამისი დარგის აქტუალური სამეცნიერო თემების განხილვაში, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევაში, სხვადასხვა ინსტიტუციისთვის კვლევების განხორციელებაში;

8. ამზადებს რეკომენდაციებს უნივერსიტეტის რექტორისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების სავარაუდო განაწილების შესახებ;

9. უნივერსიტეტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს და რექტორის ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 5. ცენტრის უფროსი სპეციალისტის ფუნქციები

ცენტრის უფროსი სპეციალისტის ფუნქციებია:

1. დახმარებას უწევს უფროსს ცენტრის ამოცანებითა და ფუნქციებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში;

2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა-შეფასების პროცესების კოორდინაციაში მონაწილეობა;

3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის შეფასებასა და ანალიზში მონაწილეობა;

4. ასრულებს უნივერსიტეტის პერსონალის საკონსულტაციო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ დამხმარე სამუშაოებს სამეცნიერო ფონდების მოძიების, საგრანტო პროექტების მომზადების, პატენტების შექმნისა და საავტორო უფლებების დაცვის მიზნით;

5. საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების ადმინისტრირებაში მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში;

6. უნივერსიტეტის ფარგლებში პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების დანერგვაში მონაწილეობის მიღება;

7. კოორდინაციას უწევს მოსამზადებელ სამუშაოებს ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან, ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გასაფორმებლად.

მუხლი 6. ცენტრის სპეციალისტის ფუნქციები

ცენტრის სპეციალისტის ფუნქციებია:

1. მონაწილეობს საუნივერსიტეტო კვლევითი აქტივობების (კონფერენციები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა) ორგანიზებაში;
2. ასრულებს დამხმარე სამუშაოებს უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნით სხვადასხვა სემინარის, ტრენინგის, სასწავლო და სასერტიფიკატო კურსების ორგანიზებისათვის;
3. აგროვებს მონაცემებს საუნივერსიტეტო კვლევითი აქტივობების შესახებ;
4. ქმნის საინფორმაციო ბაზას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და ანალიზისათვის;
5. ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან, ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გასაფორმებლად;
6. ცენტრის საქმიანობიდან გამომდინარე ასრულებს სხვა დამხმარე სამუშაოებს.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

1.წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

2. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება უნივერსიტეტში წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი კვლევებისა და განვითარების ცენტრის დებულება/მარეგულირებელი წესი.

3. კვლევებისა და განვითარების ცენტრის პერსონალი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე დებულებას და შეასრულოს მისი მოთხოვნები. ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა.

4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების და დამატებების ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ცენტრის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი.

5. წინამდებარე დებულების დამტკიცება, დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარდგინებით.

6. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად ცნობა არ ვრცელდება წინამდებარე დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე.

7. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს კვლევებისა და განვითარების ცენტრის ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

9. ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.